



საქართველოს აუტორის,
ქაგლთა დაცვისა და
სკორბის სამინისტრო



პრესრელიზი

ხვალ, 4 აპრილს აუტორის, ქაგლთა დაცვისა და სკორბის მინისტრი ნიკოლოზ ვაჩიშვილი და თიბისი ბანკის დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე გუდარეხის სამონასტრო ჟოგლაქს ერთობლივად მოინახულაან.

თიბისი ბანკი აქტიურად ჩართვაა გუდარეხის ჟოგლაქსის რესტავრაციაში. წელს ამ პროექტის III ეტაპი განორციელდება – შედგება, გუდარეხის სამონასტრო ჟოგლაქსი პირვანდელ სახეს დაიბრუნებს და აღდგება მღვდელმსახურება.

XIII საუკუნის გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის აღდგენითი სამუშაოები ზაფხულში ავლავ განახლდება. რუსუდან დედოფლის მიერ დაარსებული უნიკალური ტაძრის რეაბილიტაციის I და II ეტაპი აუტორული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

ძეგლის გადარჩენის დასვენით ნაწილში - გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის სრული რეაბილიტაციისა და მისი პირვანდელი იერსახის აღდგენის პროცესში, სახელმწიფოსთან ერთად, მონაწილეობას თიბისი ბანკი მიიღებს.

საქსკარტო ინფორმაცია: ქვემო ქართლის რთულადმისადგომ ხეობაში, XIII საუკუნეში რუსუდან დედოფლის მიერ დაარსებული გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის წლების განმავლობაში გადაუდებელ სარესტავრაციო სამუშაოებს საჭიროებდა: 1970-იან წლებში არასწორად განხორციელებული რესტავრაციისას - ძეგლის გადახურვისთვის აქტიური ქიმიკატებით დამუშავებულმა ცემენტის ფილებმა - ფასადების თლილი ქვა დაავადდა და გამოქარა, ამორტიზებული გადახურვის სიმძიმემ აშკარა საფრთხე შეუქმნა ტაძრის კამარას.

სახელმწიფოს მიერ 2005 წელს შემუშავდა გუდარეხის კომპლექსის მთავარი ტაძრის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც შესრულდა არქეოლოგიურ-არქიტექტურული ანაზომი, ფოტოფიქსაცია, ჩატარდა სახელოვნებათმცოდნეო-საინჟინრო და გეოლოგიური კვლევები.

2006 წელს კვლევაზე დაყრდნობით განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები:

- ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით აღდგა სოფელ გუდარეხიდან მონასტრამდე მისადგომი ხეობის 3 კილომეტრინი განადგურებული გზა.
- მცენარეული საფარისგან გაიწმინდა მონასტრის ვრცელი ტერიტორია და მთავარი ტაძრის მიმდებარე ფართობი;
- მოიხსნა ცემენტისაგან ჩამოსხმული, დაზიანებული ფილები;
- სახურავზე დაიგო თუნქის საფარი ლორფინის იმიტაციით;
- ყედლები გასუფთავდა წყობებს შორის ამოსული მცენარეებისაგან;
- გაკეთდა წყლის სარინელი.